



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2021 წლის 5 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №108/21
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2021 წლის 6 სექტემბრის №108 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 17 სექტემბრის №433/108-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, საქმეში წარმოდგენილია ისეთი დოკუმენტები, რომელთა უმრავლესობა ამოსადებია საქმიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რაზეც მოსამართლემ შესაბამისი განჩინებით რეაგირება არ მოახდინა (თუმცა მსგავსი შუამდგომლობით მას არ მიუმართია სასამართლოსადმი).

1.2. ასევე საჩივარში მითითებულია, რომ მოსამართლემ დაარღვია დისპოზიციურობის პრინციპი, კერძოდ უაპელაციოდ უარყო საჩივრის ავტორის მიერ სარჩელში დაზუსტებული დავის საგანი და თავისით, თვითნებურად განსაზღვრა იგი.

1.3. საჩივრის ავტორი განცხადებით, რომ მოსამართლემ მის მიერ სარჩელში მითითებული მოპასუხე მხარე შეცვალა ისე, რომ დაარღვია სსსკ-ის 85-ე მუხლის დათქმა, რომლის თანახმადაც სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით.

1.4. ასევე საჩივრის ავტორის განმარტებით, სხდომის მიმდინარეობისას მოსამართლემ გაბრაზებული ხმით მიმართა მას, რომ საათნახევარი დააკარგინა.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2021 წლის 13 აგვისტოს --- სასამართლოს --- სარჩელით მიმართა ---, რითაც ითხოვდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის --- 2021 წლის 9 აგვისტოს №-- და №-- შემაკავებელი ორდერების გაუქმებას.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 20 აგვისტოს განჩინებით -- -- სარჩელი №-- და №-- შემაკავებელი ორდერების გაუქმების თაობაზე მიღებულ იქნა წარმოებაში.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2021 წლის 9 აგვისტოს -- -- დაჭინებული მოთხოვნით შედგენილ იქნა №-- შემაკავებელი ორდერი მისი ყოფილი მეუღლის -- -- მიმართ და №-- შემაკავებელი ორდერი მისი შვილის -- -- მიმართ იმ საფუძველით, რომ თითქოს ყოფილმა მეუღლემ მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და განახორციელა ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა, ხოლო მისმა შვილმა მასზე განახორციელა ფსიქოლოგიური ძალადობა, ასევე აუკრძალა საერთო სარგებლობაში მყოფ უძრავ ქონებაში საქმიანობის განხორციელება.

-- -- სასამართლოს -- -- 2021 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოსარჩელე -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

საჩივრის ავტორი უთითებს მტკიცებულებათა ამორიცხვის, დავის საგნის თვითნებურად განსაზღვრისა და მოპასუხის შეცვლის საკითხზე. აღნიშნულთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულების საქმისათვის მნიშვნელობას განსაზღვრავს მხოლოდ მოსამართლე. შესაბამისად, აღნიშნულზე მსჯელობა სცდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

რაც შეეხება მოსამართლის მიერ სასარჩელო მოთხოვნის განსაზღვრას და მასში მოსამართლის ჩართულობის ხარისხს, აღნიშნული არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის მხოლოდ ტრანსფორმირებაში.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად, ასევე, არ იკვეთება ის ფაქტი, რომ მოსამართლემ სარჩელში მითითებული მოპასუხე მხარე შეცვალა ისე, რომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის დათქმა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის, თანახმად სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს დაზუსტებულ სარჩელში მითითებული აქვს მოპასუხედ შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის -- --, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია იგივე ორგანო, რომელმაც გამოსცა შემაკავებელი ორგანო შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის -- --, ხოლო წარმომადგენელია საჩივრის ავტორის მიერ უკვე ნახსენები -- --. შესაბამისად მოსამართლეს არ დაურღვევია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი. ამასთან, აღნიშნული ქმედება არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად, რადგან თავისი არსით წარმოადგენს სასამართლოს შეფასების საგანს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. -- -- 2021 წლის 6 სექტემბრის №108 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1, 1.2 და 1.3 პუნქტები).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №108/21 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.4 პუნქტი).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი